საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7554
08/09/2023

7554-21-2-202309081220

შპს „ლურჯი მოცვის“
მის: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჩიქოვანის ქუჩა, N 38, ბინა 45
ელ. ფოსტა: shota776.sm@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7694 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის მე-4 თავში აღნიშნულია, რომ „ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან, სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან“, ხოლო მე-5 თავში მითითებულია, რომ „მაგისტრალური და დამხმარე მილები ჩალაგებული იქნება 50 სმ სიღრმის ტრანშეაში“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ტრანშეის მოსაწყობად ამოღებული გრუნტისა და მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადების მე-4 თავში მითითებულია, რომ „სარწყავი წყლის აღება განხორციელდება ჭაბურღილიდან, რომელიც მდებარეობს კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე. აღნიშნულ ჭაბურღილზე დაწყებულია სასარგებლო წიაღისეულის აუქციონის წესით შესყიდვის პროცედურები, კერძოდ, მესაკუთრის განაცხადი გაგზავნილია და ველოდებით აუქციონზე მის განთავსებას“. სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების მე-5 თავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ჭაბურღილიდან ღია წყლის რეზერვუარი დაშორებული იქნება 565 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული მანძილი შეადგენს დაახლოებით 291 მეტრს. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს მაგისტრალური მილსადენის სიგრძის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის დეტალური აღწერა, სიტუაციური რუკის

თანდართვით და მაგისტრალური და დამხმარე მილსადენების სიგრძეების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო